

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაქების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвa“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ. —7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე სომეხი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

დროება

გამოდის ყოველ-ღვინე მოხუბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული განცხადება დეკრე-
ტი 25 მანათი; პირველი 50 მ. სრული განცხადება
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.

ეს განცხადება მოითხოვს რედაქცია გააწონასწოს და შეამოა-
წონოს დასაბუთებულ განცხადებებს. დაუბეჭდვლად წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბეჭდვს ავტომატად.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი მაისის პირველიდან წლის დამლევამდე 7 მანათი; სოფლის მასწავლებელთა- თვის 5 მანათი.

შინაური ქრონიკა

მართლაც საზოგადოება მხი-
არულით გულთ გაუმასპინძლდა პა-
ტიცემულის ქოსტანტინე შრისტეფო-
რეს-მე მამაცაშვილს. ას-ორმოცი კა-
ცი შეიყარა „მასას“ ბაღში ორმა-
ბათს სადილად და ყველა თანამგობ-
ნი რომ მოგროვილიყვნენ—ეს რი-
ცხვი გაასკვდებოდა. მთელმა ხალხ-
მა მოიღვინა და მოიღვინა სწორედ
ქართულურად. მუღით წარმო-
თქმულ სადღეგრძელოებს ჩინებულ
სიტყვებს მოსდევდა, სიტყვებს ვაჟა-
კურთ ქართული სიმღერა, სიმღერას
ფეხ მარდი ლეკური. შრიად კმაყო-
ფილი ხალხი მხოლოდ ათ საათ-
ზედ დაიშალა. დაწვრილებით ხვალ
იყოს

მომხატავს, მაისის 6-ს, ობი-
ლისის კლუბის ვრცელს ზალაში თავი
მოიყარა მართლ-მანათის თავდა-
ზნაურობამ. მერომეტს საათზედ ზალა-
ში შემოვიდა ობილისის გუბერნატო-
რი, გამოაცხადა თავდა-
ზნაურობის კრების გახსნა, წაიკითხა სია იმ თავ-
და-
ზნაურთა, რომელთაც კენჭი აქეთ
და მიიწვია ყველანი სიონში წასასე-
ლელად. ამ დღეს ქალაქი დღესასწაუ-

ლობდა ტახტის მემკვიდრის დაბადე-
ბის დღეს და ისედაც ბაირალებით
დამშვენებული ობილისის ქუჩები უფ-
რო დაამშვენა გამწკრივებულმა რაზმ-
მა თავდა-
ზნაურობისამ ბრწყინვალე
ტანისამოსში. წინ მიდიოდნენ ბ. გუ-
ბერნატორი და გუბერნიის მარშალი,
მასუკან წინამძღოლი ობილისის მაზ-
რის თავდა-
ზნაურობისა, მერე თავდა-
ზნაურნი ობილისის მაზრისა და მას-
უკან სხვები აგრეთვე მაზრობით და-
ყოფილნი.

სიონში ჩვეულებრივი ფიცის მიღე-
ბის შემდეგ, თავდა-
ზნაურობა იმავე
წესით დაბრუნდა კლუბის ზალაშივე,
სადაც გუბერნიის მარშალმა სამშა-
ბათისათვის მიიწვია.

შაბათ საღამოს ობილისში ჩა-
მოვიდა ინჟინერი პნენკოვი, რომელ-
საც მინდობილი აქვს რკინის-გზის გა-
კეთება ასხაბადისა და მერვისაკენ და
მეორე დღესვე გაემგზავრა იმიერ-
ძაის მხარეში. პნენკოვს თან სხვა ინჟი-
ნერებიც ახლდნენ.

ხევიდამ გვწერენ, რომ მაისის
1-ს სოფ. ბეველეთის ხიდთან შახბეგ-
ში მცხოვრებლმა მწყემსმა ოედო ბო-
ჩაშვილმა მოჰკლა თოფით ერთი ახალ-
გაზდა გველეხელი ქისტის, გვარად

ბეველი ქართული ოჯახის

(შემდეგი *)
არა თუ მართლ მამას, საზოგადოდ
ოჯახის უფროსსაც, მაგ., უფროს მამას,
ოჯახში ძალა ჰქონდა წესიერების და
რიგის დასაცველად. თუ მამა ვალდე-
ბული იყო უფროს-უმცროსობა არ
დაერღვია („უფროსი უფროსად იმ-
ყოფოს, უმცროსი უმცროსად“ მახტ. სამ.
მუხ. 3, სადაც სჯაა გაყრაზედ),
უფროს მამაც ოჯახში საპატიო ად-
გილი ეჭირა, ოჯახური წესის მცვე-
ლი ისიც იყო და რადგანაც ეს წესი,
ზოგიერთ შემთხვევაში, უმცროსის
გალახებითაც უნდა დამყარებულიყო,
ამისათვის კანონი, აი, რას ამბობდა:
„ესეც არის, უმცროსი მამა და უსოლ-
შვილო რომ იყოს, სამუშაოს უარი-
სათვის ან ყმის რბევისათვის ხელი
შემოჰკრას, ერთი ორი ჯოხი რომ

დაჰკრას, არაფერი არის, მისი სისხლი
არ გაჩნდების“ (იქვე მუხ. 3ა). ჩვენი
ოჯახური „უფროს-უმცროსობა“ სულ
სხვა ხასიათისაა, დაშორებით უფრო
სამართლიანი, ვიდრე მაგ., ფეოდა-
ლურს მერობაში იყო საშუალო სა-
უყუნოების დროს; იქ უფროსობამ
ყველაფერი თითონ მიიმიჯნა, საში
ნელ ძალად გარდაიქცა³⁾, ეკონო-
მიურ—პოლიტიკურ ძალად, გარემო-
ება, რომელიც ამტკიცებს იმასაც,
რომ ძველს პატრიარქულს ოჯახს
პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.
ჩვენი ოჯახს ცოტად მაინც ეყობა
ეს პოლიტიკური მნიშვნელობა, რად-
განაც (როგორც სჩანს სიგელიდან)
რომელიმე თანამდებობა, მაგ., მღი-
ვანობა, გადადიოდა ოჯახის ერთ-
რისაგან მეორეზედ, ერთსა და იმავე
ოჯახში იყო დამკვიდრებული მაგრამ
ჩვენში ოჯახის პოლიტიკური მნიშვნე-
ლობა მალე შესუსტდა, თუ სრულიად
არ მოიხსოვ, რადგანაც მას არც და-
უწყო ბრძოლა სახემწიფოებრემა უფ-

ლაზიკოვი. როგორც ამბობენ, აი, რა
ყოფილა მკვლელობის მიზეზი: ოედო
ბოჩაშვილს თავის ამხანაგებით პლა-
დიკავახის მხრიდან ცხერის ფარა მო-
უდიოდა და იმ დამეს ბეველეთის ხი-
დთან დაუყენებია. ლაზიკოვი სამის
ამხანაგით მიჰპარგოდა; ბოჩაშვილს
მაშინათვე გაეგო და ამხანაგები გა-
ფეთხილებინა, თითონ წასულიყო
სოფ. ბეველეთს და იქ ნაცვლისათვის
გამოეცხადებინა და ეთხოვნა მისგან
შემწეობა; თუმცა ნაცვლი დაჰპირე-
ბოდა ბოჩაშვილს თავის მხრით ყა-
რულების დაყენებას, მაგრამ ბოჩა-
შვილი არ დანდობოდა გველეხელებს,
ისევე წასულიყო თავის ამხანაგებთან
და დარიგება მიეცა მათთვის, რომ
ფეხილად ყოფილიყვნენ და კარგად
ეყარაულნათ. რამდენიმე საათის შემ-
დეგ გველეხელები ხელახლად კიდევ
მიჰპარგოდნენ; მაშინ ბოჩაშვილიც
იძულებული შექმნილა, უსროლია
თოფი და ერთი მათგანი მოუკლავს.
მოკლული ქისტის ოთხი დღე ეგდო
თურმე ამ სიტყვში, რადგან ექიმი
არასდ იყო და გაუჭრელად კი ვერ
გაებდნათ დამარხება.

ეს შემთხვევა მით უფრო სამწუხა-
როა, რომ ამის შემდეგ ორ მეზო-
ბელს სოფელს შუა მტრობა ჩამოეარ-
ღება და ერთმანეთს აღარ მოუსვენე-
ბენ, რადგანაც ორივე მხარემ სისხ-
ლის აღება იციან. სასურველი იქნე-
ბა, თუ ხევის უფროსები გაერევიან
ამ საქმეში და ჩვეულებისამებრ ორივე
მხარეს მოარიგებენ.

წარსულს კვირას პლექსანდრეს

ბაღში გამართულის სეირნობისა და
ლოტერეისა—ალეგრისაგან შემოსულა
4000 მან. წმ. ნინოს ქალების სასწაე-
ლებლის სასარგებლოდ.

ხმა სვანეთიდან

წრეულს, აზრიში, ორი საყურადღე-
ბო ამბავი მოხდა სვანეთში; პირველს რი-
ცხვეში გარდაიცვალა თ-დი თენგიზ და-
დიშკელიანი. მიტვალეული 50 წელს გა-
დასული იყო და ითვლებოდა პირველ
წარმამადგენელად თავის კვარეულბისა.
ჩემს გვარში—ამბობდა სოფელ სხიშად
განსვენებული—ჩემოდენა არც გაჭირვე-
ბა ვისმეს გამოუცდია და არც ღსინიო...
ყველაზედ უფროსსა მშუქსაროდ თ-დს თენ-
გიზს სამართლიანად მიახნდა ის დღე
(1855 წ.), როდესაც თავაღწის მოუკლეს
მამა მისმა მეგობრებმა—ფარის დადიშკე-
ლიანებმა—და თვითონ ორი ტყვიით
მარტყნა მკვლეში დასტყეს. ამ უბედუ-
რებას არ დაჯერეს მამის მძღავრმა სახ-
ლიკებმა და განაძვეს იგი ცოლში-
ლიანად სვანეთიდან. 1855—1856
წლებში თ-დი თენგიზი ცოლშილითურთ
სცხოვრობდა სამკრელო-ღესსუმში მეგ-
რელიის დედათულის ეკატრინის მფარ-
ველობის ქვეშ. ეს ამბავი მოხდა იმ
დროს, როდესაც რუსის მმართველობა
გაერია თ-დის თენგიზის და მის სახლი-
კაცების საქმეში და მიიღო პირველის
მხარე, როგორც დახვარულისა. შედეგი
მთავრობის გარევისა მასხუბარ დადიშკე-
ლიანების საქმეებში იყო ცნობილი ქუ-

ვგრედ წოდებულის გაყრიდამ. ჩვენში
გაყრა, სხვათა შორის, ოჯახის წევ-
რის ეკონომიურ მნიშვნელობაზე იყო
დამყარებული: „გაყრაში ეს ოთხი
არის: საუფროსო, გასამყრელო, სა-
უმცროსო და საშუალო“ (მახტ. სამ.
მუხ. 6). მარდა „გასამყრელოსი, რო-
მელიც ხელმწიფისა არის“ (16 მუხ.
რა. მამასადამე, როგორც შევნიშნეთ,
სახელმწიფო ძალამ ფეხი გაიდგა ოჯახ-
ში, ჩამოართვა მას ძველი მნიშვნე-
ლობა), საუფროსო, საუმცროსო და
საშუალო უფროსის, უმცროსის და
შუათანა ძმისა იყო, რადგანაც თვი-
თეული მათგანი შეადგენდა ასეთს
თუ ისეთს განსხვავებულს ეკონომი-
ურს ძალას. და რომ გაყრის ხვედრი
გამოწეული იყო წევრის შრომისა, მო-
ქირანხულობის მნიშვნელობით, სჩანს
კანონიდან: „აქამდინ შუას ძმას არას
მისცემდნენ, თუ არ დიდად მოჭირისხუ-
ლეთა; მაგრამ ახლა მეფემან პატრონ-
მან ბიორგამ განაწესა, რომ შუათა-
ნას ძმებსაც ერთს რასმე მისცემენ...“
(იქვე, მუხ. 6ბ). ეკონომიური ხასია-

* იხილე „დროება“ № 92.

³⁾ Древнее Право, стр. 17—183.

თავისი გენერალ-გუბერნატორის თ-დის გავარსების მოკვლა თ-დ კოსტანტინე დადიშვილისაგან, უკანასკნელის დასწრებას, ქუთაისში და კოსტანტინეს შვილის, სამუდამოდ გადასახლება სვანეთში და სვანეთის გუბერნიაში, სადაც დადგინდა სწავლობენ. მოსახლარ სახლ-კაცების გადასახლების შემდეგ, თ-დის თანაგზ დადიშვილისი დაბრუნდა სვანეთში, თავის მამულში, სადაც გაატარა თავის ცხოვრების დღენი.

მოთვრობის ამ გვარ მიფარველობას, შემწეობას, რასაკვირველია თ-დის თანაგზი დაიდად აფასებდა და ამიტომ უოკვე გვარ საშუალებით სცდილობდა მოთვრობას გამოსდგომდა და დაემტკიცებინა თავისი მისდამი ერთგულება, რაიც მან თვალ-საჩინოდ გამოახინა 1875—1876 წლებში თავისუფალ სვანების ამბოხების დროს:—ამ წლებში თავ-გამოდებულ ერთგულებისათვის მოთვრობამ იგი დააჯილდოვა გვარდიაში შერიცხვით შტაბს-როტმისტრის ჩინით, 1000 მანათი ფულით და ძვირფასი ბეჭდით. სვანეთში რუსის პრისტავის დანიშვნის დროდგანვე თ-დის თანაგზი ითვლებოდა სამსახურში პირველ ხანებში მდივანბეჭდ და შემდეგ სიკვდილამდე პრისტავის თანაშემწეთ. თ-დის თანაგზი დადიშვილისი ცნობილი იყო, როგორც შურმარალის მოყვარე, ასოვანი, მშენებელი სახის კაცი.

მეორე შემთხვევა—მკვლელობა—მოსდა აპრილშივე მესტიის საზოგადოებაში. ადგილობრივი მცხოვრები ციოე ჯაფარიძე წარსულს მარტში გაიქცა ქუთაისის ციხიდან და პირდაპირ სვანეთს წავიდა. სვან-და-სვან მძიმე დანაშაულობისათვის მას, ჯაფარიძეს, კატორჯა ქონდა და დაწვეტილი. როდესაც ჯაფარიძე სვანეთში გამოხდა, ადგილობრივმა პოლიციამ, რასაკვირველია, მისი დაჭერა მოინდომა, მაგრამ რომ კერას გასდა, როგორც ამბობენ, შეუხინა რამდენიმე ადგილობრივი მსჯდარ-დაჯი (СТРАЖНИКЪ), რომ უკანასკნელთ, თუ მოასრებდენ, დაჭირათ ჯაფარიძე, თუ არა და სასიკვ-

დილოდაც გამოქცევა. განსაკუთრებით ჯაფარიძის დაჭერა—მოკვლაში თავი გამოიღო მესტიელმავე, ისმილ ფაღანმა, რომელსაც პირადი მტრობაც ქონდა ჯაფარიძესთან. ჯაფარიძემ იცოდა კვეთი ფაღანის სურვილი და რამდენჯერმე დაითხოვა თურმე ფაღანი, მაგრამ უკანასკნელი მაინც არ იშლიდა თავისას. იმ დამეს, როდესაც ქვემოდა აღწერილი შემთხვევა მოხდა, ფაღანი და რამდენიმე მსჯდარ-დაჯი ერთად იყვნენ და კახი-რამდენ ჯაფარიძის დაჭერას ან მოკვლას ამ დროს მათ ახლო ჩამოაირა ჯაფარიძემ. ფაღანმა თვალს მიაჭრა და დაუძახა: დაგვსუბდი, თორემ ეს ე' არის თოფს გეხვარა. ჯაფარიძემ გაქცევს მაგიერ მიეგება ფაღანს. ორთავეს ბუდიდგან გამოდებულნი და ჩანძის-ამართული თოფები ხელში ქონდათ. როგორც ვი ვინ-სლოვდენ, მაშინვე დასახლეს ერთი მეორეს თოფები ერთსა და იმავე წამს და ორთავეს მოსკდა:—ფაღანს მარცხენა გვერდში და იქვე ხელი დაღია, ჯაფარიძეს მარჯვენა გვერდში, თუმცა, როგორც ამბობენ, სასიკვდილოდ არაფერი უჭირსო.

ამ ქმად ჯაფარიძეს ყარაული ადგია თავის სახლში და აქიძობენ ადგილობრივი ქიმი და ოქრშალი.

თ-ი სვანი.

დავა შუა აზიაში

„ჰავასის სააგენტოს“ შემდეგი ტელეგრამა მისილია ლონდონიდან: „შუამავლობის საქმე ჯერ კიდ არ გათავებულა; არ გარდაუწყვეტათ ბერმანის იმპერატორს მიმართონ თუ დანიისას მოდავე სახელმწიფონი ჯერ არ არიან მაინც მხად, რომ შუამავლობისთვის მიმართონ მესამე სახელმწიფოს. ინგლისი უცდის კიდე ძონდი სტიენის მოსვლას, რომელსაც დაწვრილებით ცნობანი მოაქვს მდ. ტუშკაზე შეტაკებისა. მეორეს

მხრით რუსის მმართველობამაც მოსთხოვა განმარტებითი აღსანი გენ. პომაროვს გვემითა და რუკით. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორი გარემოება სისრულეში იქმნება მოყვანილი, ორთავ მოდავეთ შეეძლება, რაკი საქაო საბუთი ექმნებათ ხელთ, საფუძელიანის თხოვნით მიჰმართონ მესამე სახელმწიფოს. თორემ ეხლა მართლა რომ არაინ იცის რა მნიშვნელობა ექმნება უ-ამ საბუთებოდ შუამავლობას. ბამუდმებული თათბირი აქეთ ამ ქმად გა'რევე საქმეთა სამინისტროში რუსისა, მსწლოეთის და ბერმანის ელჩებს. ლემსდენის გამომხმობამ ერთობ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებასა და პარლამენტზე. ამაში ახალს დათმობას ხედვენ რუსეთისადმი მაგრამ ეს ასე არ არის. ლემსდენი ზედ-მიწევით მცოდნეა სადაეო ადგილებისა, და როდესაც საზღვარზე მოხდება სჯა, მისი ყოფნა ლონდონში საჭირო იქმნება. და როდესაც მიჯნა ჩადგებული იქნება, ლემსდენი კვლავ დაბრუნდება ავღანში ინგლისის მისიის უფროსად.

მსმალეთის საგანგებო დესპანნი გამზადებული არიან გასამგზავრებლად, მაგრამ დღე კი გამგზავრებისა ჯერ არ დაუნიშნავთ—ეს დამოკიდებულია საქმის აწინდელ მსვლელობისაგან. ინგლისის მმართველობამ ბევრი სასარგებლო პირობები დაუდო მსმალეთს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პირობა ჯერ არ შეკრულა ინგლისისა და მსმალეთის შორის. ინგლისი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევისათვის იგულებს მსმალეთის მიკედლებას. მთიცილოურს წრებში ძალიან შეფიქრებულნი არიან იმ პოლიტიკით, რომელსაც ბერმანია მიჰყვება. თუ გვსურს საქმის უტყუარი ვითარება გავიგოთ, გვერდი არ უნდა ავუხვიოთ იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც დღეს-დღეისობით სუფევს ლონდონის პოლიტიკურს წრებში.

მონა (სულ ერთია, პიროვნულად თუ ეკონომიურად), მისი ზნეობრივი პიროვნება და ქონებრივი დაუმოკიდებლობა არ იყო დათრგუნვილი, „მე“ მოთავსებული იყო „ჩვენ“-თან. მართალია, აქ სრულს ჰარმონიას ვერ ვპოვებთ,—პიროვნული უფლება წევრისა შედარებით უფრო სუსტი და მკრთალია, ვიდრე ქონებრივი, მაგრამ ერთიც და მეორეც ჰქონდა თვითუფლებს წევრს⁴⁾. მეტადრე ქონებრივი თავისუფლება თეთრის ზოლით არის გატარებული ჩვენს სამართალში: „იქნების ზოგს ძმაში სათავითად ნასყიდობა იციან... თუ სასახლისა და მამულის გამოსაღებით არ არის ნასყიდი... არას ემართლებიან; თუ რა, საერთოდ უყიდნია და ერთი ქნება“ (მახტ. სამ. მუხ. რე); თუ თავისი ნაშოვნის საქონლით

⁴⁾ შვილის ქონებრივი დაუმოკიდებლობა იოდა რუსეთის ჰველმა უფლებამ, იაროსდავის „Русская Правда“-მ; შემდეგ ეს დამოუკიდებლობა ისევ დარჩა, Ал. Савиных стр. 23—25.

იმ თავითვე, როდესაც დავამ იჩინათავი, ბერმანის მმართველობის განზრახვაზე არაჩნს მოუთხოვბი, მასვერ დავაბრალებთ, რომ ომის მხარე დაეჭიროს, მაგრამ არც ის ითქმის, რომ ბერმანია სცილიყო მშვიდობიანობის დაცვისათვის. ლეს, როდესაც საქმე თითქოს ლავდება, ბერმანის პოლიტიკა შეიცვალა, თუმცა ბერმანის ელჩი კვლავინდებურად დაურწმუნებლობას აცხადებს, კვლავ არა სჯერა მშვიდობიანობის დამყარება. მთიცილოურს წრებში ამ გვარი პოლიტიკა ბერმანისა საზიანოდ მიჩნიათ როგორც ინგლისისათვის, აგრეთვე მშვიდობიანობის აღდგენისათვისაც. ამ რიგად, თუმცა ფაქტიკური მხარე საქმისა არ შეცვლილა, მაგრამ საზოგადოებას ისევ აღელვება ეტყობა“.

◆◆ ლემსდენის გამომხმობაზე სხვადა-სხვა გვარად სჯიან ინგლისის საზოგადოებაში. ზოგნი ამბობენ, ლემსდენი იმისათვის-კი არ გამოუხმიათ, რომ ავღანის საზღვრის თაობაზედ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოსო. პონსრევატიულს დასში ვაიძახიან, რომ სერ-პეტერს ლემსდენს შეურაცხება მიაყენა ინგლისის კაბინეტმა და იგი იძულებული შეიქნა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. ამ სამსახურისათვის თავის დანებებაზედ ერთის თვის წინადაც-კი ლაპარაკობდნო, რადგან გენ. ლემსდენი ხედავდა, რომ მის მოთხოვნისებთ უყურადღებოდ სტოვებდა ინგლისის მმართველობა.

◆◆ Standard-ის სიტყვით ინგლისის მმართველობას განზრახვა აქვს მოსთხოვოს რუსეთს, რომ შეკრულ იქმნას ისეთი პირობა, რომლის ძალითაც რუსეთს არასოდეს არ ჰქონდეს უფლება საზღვარზე გადასვლისა. ეს მოვალეობა მტკიცედ უნდა იყვეს დაცული რუსეთისაგანაო. ამბობენ ეს გარემოება იქნება საგანი მსჯე-

თი საოჯახო კავშირისა უფრო ცხადად არის ნაჩვენები გლეხების გაყრაში: „...ღვედი, სახნის-საკვეთი, გუთნის-იარალი გუთნის-დედისა; ცხერის ქვაბი, ერკემელი რაც არის შეცხვარისა არის. ხმალი, თოფი, ცხენი, იარალი მსახურისა არის...“ (მუხ. სდ) როგორც ვუჩვენეთ; ძველი ოჯახი დაუფლებული იყო თვითუფლების წევრის შრომამხედ და მოჭირახულობაზედ, რადგანაც იგი ეკონომიურ კავშირსაც შეადგენდა და აქედამ წარმოსდგა თავისებური წესი გაყრისა. პიროვნული უფროს-უმცროსობა განხორციელებულია წვერთა ქონებრივს, ეკონომიურს ურთი-ერთობაში — აქ სულიერი ბუნება ოჯახისა ეთანხმება მის ფიზიკურს ბუნებას. ბერძნულმა სამართალმა, რომელიც ერთნაირს ქონებრივს უფლებას აძლევს და-ძმას (ყველანი ძმები და დები ყველას სწორად გაყოფენ“... მუხ. სპა. მს ქონებრივი თანასწორობა და-ძმისა აღიარებულია სამხურს სამართალშიც, მუხ. ა; იხილე აგრეთვე პირველი სიტ-

ან იშოვნა რამე, ან იყიდა მაგთონს წილს ძმათათვის არას მიაცემინებენ“ (ib, მუხ. რთ), „კაცმან მამული რამე იყიდას თუ იმ კაცს სასახლო არა დაუხარჯავს-რა და თავისის საქონლით უყიდნია“... (ib, მუხ. რი). არა თუ კაცს, მანდილოსანსაც თავისუფალი ადგილი ეჭირა საოჯახო ეკონომიაში,—„ან მანდილოსანი თავისის ზითვით იყიდის რასმე მამულს“ (ib, მუხ. რი), მაშინ ნასყიდი მამული მისი საკუთრება იყო. რასაკვირველია, მოხდებოდა ხოლმე, რომ ამ გვარი ქონებრივი განწყობილება უკმაყოფილობას ჰბადებდა; მაშინ ძმები პირობას სდებდენ: „შენი“ და „ჩემი“ აღარ იყოსო, ყველაფერი საერთოს შეადგენდესო, მანდილოსნებმა ერთ ნაირად ჩაიცივნო, ერთმანეთი უყვარდეთო, ერთი და იგივე ნათლია და სულის მოძღვარი იყოლიონო და სხვ ერთის სიტყვით, პირობა სულ ერთობას, დათანასწორებას ჰქადებდა (Крест. грам, стр. 68). როგორც შეენიშნეთ, წვერის ქონებ-

ლობისა მოლაპარაკებებს დროსაო.—
ნემეცური ვაზ National Zeitung-ი
იწერება, თუ Standard-ის მიერ მო-
ყვანილი ცნობა მართალი შეიქმნა,
საქმე კვლავ კრიტიკულს მდგომარე-
ობაში ჩავარდება, რადგან ძნელი
მოსალოდნელია, რომ რუსეთმა ესე-
თი პირობა დასდოს.

◆◆◆ რა შთაბეჭდილება უნდა
ღონის სამსახურიდან გამოსვლაზე გავრ-
ცელებულმა ხმებმა მოახდინეს ინ-
გლისის საზოგადოებაზე, რომ იმ-
დენი, თუ მეტი არა, ცუდი შთაბეჭდი-
ლება იქონია ლორდ ლიუფერინის ტე-
ლეგრამამ ინგლისის კაბინეტისადმი,
რომელსაც სთხოვს ინდოეთის ვიცე-
კოროლი სამსახურიდან დათხოვნას.

Morning Post-ის სიტყვით კაბინეტ-
მა ლორდ ლიუფერინს მისწერა კიდევ
პასუხი და განუმარტა, თუ რა ცუდს
გაეღწინა იქონიებდა, აწინდელ ვი-
თარებითა მიხედვით, მისი მოულოდ-
ნელი თავის დაგდება სამსახურისა-
თვის.

◆◆◆ ბონ-კონკილამ სწერენ Times-ს:
„ჩინეთი მზადაა შეუკავშირდეს ინ-
გლისს რუსეთის წინააღმდეგ, თუ
რომ ეს უკანასკნელი კვლავ დაუწყებს
მუქარას ავლანს, პორციას და
ან დაშვარს. ამ შემთხვევაში პეკინის
მმართველობა გაგზავნის საუცხოოდ
დარაბმულს ჩრდილოეთის ჯარს ამუ-
რის მაზრაში; ინგლისის ფლოტი-კი
გასწმენდს რუსების გემებისაგან ზღვას
და სამხრეთის ჯარი ჩინეთისა გაე-
ლაშქრება ნავთ-საყიდრის ლაზარე-
ვისა ან სხვა ადგილისაკენ რუსის ჯა-
რის საწინააღმდეგოდ. ჩინეთის ჯარი
და სიმაგრენი მანჯურის საზღვრებზე
საკმაოდ გამართულნი არიან და ძლიერ-
ად ჩაითვლებიან. იაპონიაც არ დაი-
ყოვნებს მიეკვდროს ინგლის-ჩინეთის
კავშირს. — ჩინეთს ჰყავს რამდენიმე
ძლიერი საომარი ხომალდი და მრავალი
მცირე ამფეთქი გემები. ჩინეთის
ჯარს, როგორც ხმელეთისას

რის დამოუკიდებლობას ბევრ სიე-
თისთან ზარალიც მოსდევდა—განსუ-
ქილებას და შეუღლს სიფხვადი ოჯახ-
ში, არყვედა წესს, მყუდროებას. მითი
ღიღებული კანონ-მდებელი ჰხედავდა,
რომ შესუსტდა ძველი ძალა ოჯახის
მამისა, რომელიც მტკიცედ იცავდა
ოჯახის ერთობას, გრძობდა, რომ
ძველი ურთი-ერთობითი კავშირი შეირ-
ყა, იცოდა—თუ რა დიდი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა მამინდელ დროს მრავალ-
წევროვანს ოჯახს და კიდევ ამ
გონიერულს დარიგებას აძლევდა, ვის-
ღამიც ჯერ იყო: ბატონმა უნდა
დაიბაროს, უფროსი სწავროს და
ახედოს, უმცროსი დატუქოს, თუ
ყმანი ჩხუბდებენ ავად მოეპყრან, ნუ
მოიშობები, ნუ გაიყრები-ქო, ამ
გვარები დაახედონ, ურჩიონ თავის
მოყვრით, კარის კაცით ეცადენ“ (მახ. ს. მ.
სამ. მუხ. 23). მითი გაყრა ოჯახს
არ უჯდებოდა იაჟად. პირველად,
რომ მეფის ნების დართვა იყო საჭი-
რო როცა თავადნი გაიყრებოდენ
(Двор. грам. стр. 44, 51), მეო-

ისე ზღვისას, უფროსებად ინგლისე-
ლები ეყოლებიან “

◆◆◆ სპარსული გაზეთები იწერებიან,
რომ მძიმმა, როგორც-კი რაველ-
პინდიდამ დაბრუნდა იგი, სადაც
ნახა ინდოეთის ვიცე-კოროლი, გა-
ჩუცხადა თვის მინისტრებს, რომ,
თუ მშვიდობიანობა არ იქნა დარ-
ღვეული, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა
შევედგეთ რუსის საზღვრებზე ჩვენი
ქალაქების გამაგრებასაო. აქამდე საზ-
ღვრის გაუყვანლობის გამო არ შეიძლე-
ბოდა ესაო. არა მარტო ჰერატის გა-
მო არამედ ხოჯა-სალე, ბალხი ბალა-
მურლადი, მაიმენე და სხვ. ქალაქები უნ-
და გაემაგრებოთ.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის საჯარო-ტელეგრაფი“

მაისის 4.

მოსკოვში, სათავად-აზნაურთა გრა-
მატის იუბილეის სასაფარად არა-
ჩვეულებრივმა თავად-აზნაურობის კრე-
ბამ გადასწვივა დაფუძნდეს მოსკოვ-
ში ინსტიტუტი კეთილ-შობილთა ქალ-
თათვის ეკტარინე II სასკოლოთ და
ამ ინსტიტუტის დასაფუძნებლად
125,000 მან. კადევ შემოსწირეს.

ლონდონი გლადსტონმა შეატყო-
ბინა გუშინ საზოგადოებათა პალატას,
რომ რუსეთის პასუხს ინგლისის უწყ-
ებებსზე ავლანის სამსჯვრის შესახებ
ამ დღებში მოგველით.

გუშინ სადამოკედ მოგადა პეტერ-
ბურგში ინგლისისაგან გამოგზავნილი
ქვინა და თან მოიტანა დეპუტებმა ავ-
ლანის საქმის შესახებ.

„Daily News“-ის სიტყვით ავ-
ლანის სამსჯვრის შესახებ პირობი-
თა ზოგაერთო მუხლებს გამოეკვ-
ლად უთანხმოება ჩამოვარდა, მაგრამ

რედ—მეფის გასამყროლონი ოცის თავი
მიქონდა, „იქნების დიდს თავადზედ
სოფელიც აიღოს“ (მახ. სამ. მუხ.
რად); გარდა ამისა, ხან-დის-ხან სარ-
ღარც კი იღებდა გასამყროლოს, თავად-
ებებს თითო კომლზედ აბაზი უნდა
მიეცათ (როგორც, მაგ., საბარათია-
ნოში, Двор. грам. стр. 10—11),
თუმცა ზოგაერთო ადგილას გასამყ-
როლო შეძლებისაგარად უნდა ეძ-
ლიათ (Крест. грам. стр. 20—21),
მაგალითებრ მიზიწი მოურავი იღებ-
და ერთს ხარს, ან ოთხ მანათს (ib.
стр. 80); ამ შემთხვევაში ეკლესიამ
ბევრად ვალაჰობა სხვებს, — რუსთა-
ვის ეკლესია გასამყროლოში მეშვიდე
ნაწილს იღებდა (Церк. гуджари. стр.
5), მანგლისის ეპისკოპოზი მეათედს
(ib. стр. 7, 1618 წ.). მეფე ირაკ-
ლის ბძანებით (1756 წ.), სოფ. ახ-
მეტას მცხოვრებლები გაყრაში მთე-
ლის ქონებდამ, კომლზედ ერთის სა-
პალნის ღვინის გარდა, ორს ნაწილს
აძლევდენ სამთავისის ეპისკოპოზს
(ib. стр. 51) etc.

ეს უთანხმოება მოდიგებას არაფერს
დაუშლისა

მოსკო. კანადის აჯანყებულთა მო-
თაგე რაელი ტყვე დაიჭირეს.

მაისის 5.

პეტერბურგი. „Русский Инвалид“-
ში დაბეჭდილია მიწერ-მოწერა, მომხ-
დარი ზოდოლკოვნიკის ზაქარევიკის
და კაპიტანი იუტის ლორის და გენე-
რალი კომაროვის და ნაბ-სალანის
შორის. ეს მიწერ-მოწერა სრულიად
ამტკიცებს გენერალი კომაროვსაგან
მოყვანილს ფაქტებს, რომელნიც შეიქ-
მენ მიზენი ავლანელებთან შეტაკე-
ბისა. ბოლას დაბეჭდილია კაპიტანში
და ბულუნურში მეოფის ჩვენის აგენ-
ტის თაიროვის წერილი, რომელშიც
მოყვანილია დასამტკიცებელი ფაქტები
რომ ინგლისელები ურჩევდენ პენჯებს
სარიებს ავლანელებს მიმხრობდენ,
მაგრამ იმის გამო, რომ სარიებმა
მოსაფიქრებლად დრო ითხოვეს და
ჩვენს წინ წავიწიეთ, ინგლისელების
განზრახვა არ შესრულდა. თაიროვის
წერილიდამ ისიც ცხადად მტკიცდება,
რომ ავლანელებმა დაიწყეს გამაგრება
მდ. კუმის მარცხენა ნაპირზედ მხო-
ლოდ ჩვენი ჯარების მისვლის შემდეგ
და რომ მათი რაცხვი, აფიცრებს გარ-
და 3060 ჯარმდის ადიოდა.

ხმები დადის, რომ ამ დღებში
მოუპტებენ ბაჟს რეინისა, ფოლ-
დის, და თუჯისგან გაკეთებულს ავე-
ჯეულობასზედ.

ბარაქში. მაისის ორს, როდესაც
ერთი ზინის სადგომს ეძებდენ, მაჩა-
ლოვის სახლში, ყაღბა პასპორტი
მცხოვრებმა გაისრულა რეგოლევი,
მოკლას პოლიციელი ფესენკო და დასჭ-
რა უანდარმის უსტერ-აფიცრანი ბულ-
დაკოვი. დაძნაზე დატუსადებულა.

სიანს, რომ გასამყროლოს ორ ნაი-
რი მნიშვნელობა ჰქონდა—პირველად,
იგი იყო ჯარიმა (კანონი ხომ უკრ-
ძალავედა გაყრას), მეორედ—გასამყრე-
ლო ეკუთვნოდა საზოგადო ფინან-
სიურს სისტემას, როგორც ერთი მუხ-
ლი ამ სისტემისა (даходная статья).*)
ასე თუ ისე, მას საგნად იხილ ჰქონ-
და, რომ შევეყნებინა ძველებურის
დიდის ოჯახობის პატარ-პატარა ნაწი-
ლად გაყოფა, განცალკევება. ამას
თხოვლობდა მამინდელი პოლიტიკე-
რი მდგომარეობა საქართველოსი—
მრავალ-წევროვანი ოჯახი უფრო ღო-
ნიერი და მძლავრი იყო შინაც (ეკო-
ნომიურად) და გარეთაც, მტერთან.
მაგრამ ბუნებრივი კანონი საოჯახო
განვითარებისა თავის კვლზედ მიდო-
და, — რაკი ერთხელ შეირყა ძველი

*) შესანიშნავია და თავისებური ჩვენი
ძველი ფინანსიური წყობილება. სოველები-
დამ სიანს, რომ საზოგადოდ ჯარიმა სახელ-
მწიფო შემოსავალს შეადგენდა და ზოგჯერ
ეს შემოსავალი მოხელე პირებს ეძლეო-
და.

გუშინ ფესენკო დიდს აჩბით დაჭირ-
ეს.

მაისის 6.

პეტერბურგი. დეს, მედვილზე ცე-
სარეიჩის, დიდის თავადის ნიკოლოზ
ალექსანდრეს ძის დაბადების დღესას-
წაულის გამო ისაკევის სობორაში
ბრწინისაგან წირვა გადახდას სასახ-
ლის უმადეს ზინთა, გენერლების
და პეტრობურგის მეცნიერებზე აფიცრ-
თა თანდასწრებით; ზარაკლისიც აგ-
რეთვე ყველა ჯარის ნაწილებში გა-
დახდას, ქალაქი დროშებით არის
მორთული; ამდამ ჩარადნები აინ-
თება.

ბარაქში. ტენოლოგიური ინსტი-
ტუტი აგვისტოში გაიხსნება.

ლონდონი. პარლამენტის წინაშე
წარდგინდეს ავლანის საქმის შესახებ
მიწერ-მოწერადმა სიანს, სხვათა შო-
რის, რომ ჯერ ისეგ ანგონის 4-ს რუ-
სეთს მიეცა წინადადება გაიყვანონ
სამსჯვარი ზუღეფარის და პენჯ-
დეს სამხრეთით და მარჯვანის ჩრდი-
ლოეთისკენ, მაგრამ მარტის 1-ს ამ
სამსჯვარსზედ ინგლისმა უარი განაც-
ხადა და ამ სასჯვრას მაგივრად მან
დაასახელა ნეიტრალური ადგილი, რომელ-
ზედ უნდა ემუშავა გამსაჯვ-
რელს კომისიის მიწერ-მოწერას სასჯვარ-
სზე მოლაპარაკების შესახებ ჯერ გი-
დევ გამოცხადებული არ არის.

სუპიში. გუშინ დაიწეს ინგლისე-
ლებმა სუჟამის დაწლა.

როში. ის ხმა, ვითომც იტალიის-
თვის მიეცეთ წინადადება სუჟამის
დაჭერისა ტყუილი არის.

ლონდონი. ავლანის საქმეთა გამო
გამოცხადებულმა დიპლომატიურმა მი-
წერ-მოწერამ ტორიის გასეთებისაგან
დიდი გაკიცხვა გამოიწვია ბრიტანიის
მმართველობისა, რომელსაც აბრადე-

სასტიკი პატრიარქული ძალა ოჯახის
მამისა, რაკი ერთხელ თვითთუღმა
ოჯახის წევრმა, დროთა და ჟამთა
განმავლობაში, მოიხვეჭა, ცოტად თუ
ბევრად, ზნეობრივი და ქონებრივი
დამოუკიდებლობა (პირველი უფრო
ცოტად, ვიდრე მეორე), მაშინ მოე-
ლო ბოლოც დიდს კერას, სავსე დარ-
ბაზე. ჩვენ ვიცით, რომ იქ, სადაც
პატრიარქული ოჯახი აღორძინდა და
სამაგალითოდ შეიქნა (ძველს რომში),
ოჯახის წევრის თავისუფლებით აღ-
ჭურვას მიზეზად დაედო, სხვათა შო-
რის, კერძო საკუთრების დაარსება და
საქართველოშიც, ვგონებთ, „თავისი
საქონლის“ გაჩენა იყო ერთი უმთავ-
რესი მიზეზთაგანი ძველი პატრიარქუ-
ლი ოჯახის დამხობისა თუ არა, და-
სუსტებისა მანც. რასაკვირველია, ეს
კერძო მიზეზი სრულდებოდაც არ ეწი-
ნაღმდეგება საზოგადო კანონის მნიშ-
ვნელობას, მის ზედ-მოქმედებას ოჯა-
ხის განვითარებაზე.

ნ. სიანსაშვილი.

(დასასრული მეორე წერილისა)



ბენ სისუსტეს, უზომო ნდობას და უკიდურესობამდე დათმობას. Standard-ი იწერება, რომ მძარბობლობამ ნახა სრული დამარცხება—ინგლისის-ოფის დამამცირებელია.

მაისის 7.

პეტერბურგი. ხედავთ, რომ ფინანსთა სამინისტრო ჰგზავნის საშუალო ხარისხის კომისიას, რომელმაც ადგილობრივ უსადა შეისწავლას ვაჭრობის საქმე. გამოიკვლიოს, თუ რა გზით უნდა იქმნენ გამართული საქარვანო გზები და შეკრბოს სტატისტიკური ცნობები.

ბელგრადი. კარგადი კენაში მიემგზავრება და სახემწიფოს მართვას სარეგენტო რჩევას მიანდობს.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 6.

100 მანათის კურსი სამის	თვით ღონდონზე — 24 ¹ / ₁₆ , 24 ³ / ₁₆ , 24 ⁵ / ₁₆
100 მანათის კურსი სამის	თვით ჰამბურგზე — 206 ³ / ₄ , 206 ⁷ / ₈
100 მან. კურსი სამის	თვით პარიზე — 255 ³ / ₄ , 256
პოლიუმპერიადები	— 8 მ. 15 გ. გაუ.
ტამბურის კუბონები	— 8 მ. 13 გ. გაუ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 30 გ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— 6 და 7%
5% ბილეტები აღმოსავლეთის სესხისა	100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — 95 ¹ / ₂ მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 95 მ. 37 გ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 95 მ. 12 გ. გაუ.
5% მომგები ბილეტები	I შინაგანის სესხისა — 219 ³ / ₄ მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები	II შინაგანის სესხისა — 207 მ. გაუ.
ოქროს რენტა	— 168 ¹ / ₂ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ.	ფურცლები — 27 წ. 89 მ. გამუ. 43 წ. 88 ³ / ₄ მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამუ. 43 წ. 90 მ. გამუ.

ცნობანი

ბაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 მაისიდან 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფუქვილისა	— 1 გირ. 5 გ.
აქარის ფუქვილისა: პირველის ხარისხისა	— 1 გ. 2 ¹ / ₂
მეორისა	— 1 გ. 2 გ.

იმპერ ფუქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის	— 1 გ. 4 ¹ / ₂
მეორისა	— 1 გ. 3 გ.
მესამისა	— 1 გ. 2 ¹ / ₂

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ღავაში	1 გ. 4 ¹ / ₂
მეორის ხარის. ღავაში	1 გ. 3 ¹ / ₂
მესამისა	— 1 გ. 3 გ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა	— 1 გ. 8 გ.
მეორისა	— 1 გ. 7 გ.

სუკი	— — — 1 გ. 15 გ.
ცხვრის ხორცი	— 1 გ. 9 გ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა	1 გ.
მეორისა	— 1 — გ.

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშვილი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

პიძეები:

არშთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-შარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბაბიები:

ფილჩაძეებისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტაშანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლომონისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ბანსხადებანი

ქვირას მაისის 12-ს

სოფ. მრბელს, (ლეჩხუმის მაზრაში) სასოფლო სკოლის სადგურში, ადგილობრივის მთავრობის ნება დართვით, ჩართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, ამავე საზოგადოების დამხმარებელის წევრის თავ. შაიხოსრო ბელოვანის თაფოსნობით გამართულ იქნება

სალიტერატურული საღამო

დაახლოებულს მონაწილეობას მიიღებენ ქ. ქ. ღვსინა შარვაშიძე-ბელოვანისა, ნინა, მრისთავი—ბელოვანისა, მსანა ბელოვანის ასული. ბ. ბ. ა. ბამრეკელი. მარ. ბაბიჩაძე, შაიხოსრო ბელოვანი და სხვანი.

საღამო შესდგება ჩვენი საუკეთესო პოეტების ლექსების წაკითხვით, აგრეთვე სცენებისა, და სამეცნიერო თხზულებებიდან იმ ალაგების წაკითხვით, რომელნიც შეეხებიან კაცის შთამომავლობითი სიმრთელის დაცვას; ლეკურისა, და აფხაზურის თამაშობით. საღამო დასრულდება სიტყვით, რომელსაც წარმოასტკვამს შაიხ. ბელოვანი შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის გონებითი წარმატებისათვის „წერაკითხვის საზოგადოებას“ და რა საგნის მისაღწევად იღვწის იგი. დასაწყისი ნაშუადღევს მეშვიდე საათზედ. ადგილების ფასი იაფია. (3—2)

არყის ხის პალატი

დოქტორის ლენგილისა

საყვარელი სატუალეტო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.

ადღევს კანს სპეტაკს სითეთრეს, სპობს კორფელს, ფერიქამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუქულს სახეს, ასწორებს მოღმეკილს ადგილებს და აძღვეს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს.-პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიიქციოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კასიულაზედ ავსტრიულს გერბს (არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არყის ხის ქვეშ იმყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! შლაკონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებში: მოსკოვში რ. ძეღერთან და კომპ. პ. შერსინთან, გელმინგთან, მ. ბრუესთან, ლიუშერთან, ბირშფელგინთან, მატესეისენთან, ს.-პეტერბურგში სააფთიაქო საქონლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, თბილისში სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ძავკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

II. 12.233

(12—3)

ახალი მცირე მუდმივ-მოქმედი ავეჯი იაფად მიიღო

ოქროს მედალი 1878 წლის გამოფენაზედ

მუდმივ-მოქმედი ავეჯები

შუშუნა სასმელების გასაკეთებლად:

ზედგრის წყლისა, ლიმონადისა, სოდისა, შუშუნა ღვინოებისა, ლუდისა.



სიფონები დიდებიც არის და პატარებიც; ადვილი გასაწმენდა

J. HERMANN—LACHAPPELLE

J. BOULET et C-ie, Successeurs Ingénieurs Constructeurs.

RUE BOINOD, 31—33(Boulevard Ornano, 4—6) PARIS

გინც ფოსტის მარგას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირბუები გაგზავნება. (6—6)

!! აბანო გოგლია !!

რადგანაც ცხად იქნა,—**წალი გოგლი** არის მამრთელბელ ბევრთა სხვა-და-სხვა სატკივრებისა და მრავალნიც გვიმოწმებენ—რომელთაც მიიღეს განკურნება, ამისათვის ვალად ვითვლით, რათა განუუცხადოთ პატროსანს საზოგადოებას და მოვავრებთ მესაქიროეთა აქენდეთ მხედველობასა შინა. მსრედ ცხადი მარბამულია ყოველს პირობებზე შეიძლება მიმართოთ იქვე გოგლის მეიჯარადრეს (3—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტუაოსანზე

ამისათვის შევამზადებინე კიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ცხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. შასი სურათებიანი ვეფხის-ტუაოსნისა, იქნება რმა მანათი-დამ ათ მანათამდე, ხარჯის კვლო-

ბაზე. ხელის-მოწერი ფულის შემოტანისათანვე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-ი. თბილისის გარეშე ხელის მოწერითა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტუაოსნის“ გამოცემელი გ. ქართველიშვილი. (25—16)